

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და
საკითხების საჯარო განხილვის
ოქმი № 34

17 ოქტომბერი, 2019 წელი
12 :00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე
თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

გულია გოცირიძე

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო
განხილვას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

ვიქტორ ცაავა

მარინა ხარაძე

კლარა კილაძე

ვალერიან ვაშაკიძე

სალომე გაბუნია

მზია გაბუნია

თაკო ლონდარიძე

არჩილ გერსამია

თიკო ცომაია

რიჩარდ კაპანაძე

გიორგი რამიშვილი

ჯაბა სირბილაძე

იაგო მელაშვილი

ლაშა ჭეიშვილი

ზუკა ხუციშვილი

მაია ჯორჯაძე

ქეთი ციციშვილი

ავთანდილ აფხაიძე

თინა კიკილაშვილი

ნინო ხვედელიანი

მანანა ხვედელიანი

ნათელა ჩიტიშვილი

გულნარა ბოჭორიშვილი

სალომე ბოჭორიშვილი

გოჩა სამხარაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბაჩანა ბრეგვაძის ქუჩისთვის სანაპიროს სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსებ იმედაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის ფილოსოფოსის, აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სიმონ ყაუხჩიშვილის ქუჩისთვის სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქუჩის მონაკვეთისთვის მწერალის, დრამატურგ თამაზ ჭილაძის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, არჩილ გელოვანის ქუჩისთვის მედიცინის დამსახურებული მოღვაწეების ზაზა და საულ კახიანების სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ზაზა და საულ კახიანების სახელობის სკვერისთვის სიცოცხლის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ანდრო ჟორდანიას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ზურგოვანის საცხოვრებელი კომპლექსისთვის ქართულ-ამერიკული უზნის სახელის მინიჭების შესახებ

10. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის III ჩიხისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ეთერ ბოცვაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, კლდეკარის ქუჩის გაგრძელების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. ავჭალის ხიდისთვის გმირ ქართველ არტილერისტთა სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის, მომღერალ გიო ხუციშვილის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ანდრია გუგუშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ანდრია გუგუშვილის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სავანეს ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის სავანეს I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ფრიდონ თოდუას ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ექიმ-პედიატრის, აკადემიკოს ირაკლი ციციშვილის სახელის მინიჭების შესახებ
17. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთისთვის პროფესორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს არჩილ ბეთანელის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
18. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის ქუჩისთვის და ასპინძის I ქუჩისთვის ასპინძის სახელის მინიჭების შესახებ
19. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის შესახვევის მონაკვეთისთვის, ზეგანის ჩიხისთვის და ზეგანის შესახვევისთვის ზეგანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
20. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმის, პროფესორ მარიამ გრიგალაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
21. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფოტოხელოვანის ევტიხი ჟვანიას სახელის მინიჭების შესახებ
22. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩისთვის, მასთან არსებული ორი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის არქიტექტორის თეიმურაზ ბოჭორიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

23. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ილია ვეკუას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კონტრადმირალის ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

24. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევში, გიორგი მუხაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სპორტული მოედნისთვის ფეხბურთელის ვახტანგ ფანგანის სახელის მინიჭების შესახებ

კენჭისყრის პროცედურების შემდეგ თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ დღეს კომისიის სხდომაზე და საჯარო განხილვისთვის დღის წესრიგით გათვალისწინებულია 24 საკითხი. მან კომისიის წევრებს და სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს საკითხების განხილვის პროცესში აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდა.

კომისიის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი და მეორე საკითხები წარმოადგინა.

1. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბაჩანა ბრეგვაძის ქუჩისთვის სანაპიროს სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსებ იმედაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის ფილოსოფოსის, აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით ისაუბრა. მან კომისიის წევრებს მოქალაქეთა წერილები გააცნო, რომლითაც ერთის მხრივ, ითხოვენ თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭებას, ხოლო მეორეს მხრივ, 2018 წლის 11 სექტემბრის #298 განკარგულების გადახედვას, ქუჩისთვის ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, კომისიამ გამართა შეხვედრა ქუჩის მოსახლეობასთან. ზვიად გამსახურდიას სანაპიროს ნუმერაციის დროს დადგინდა რომ გარკვეული მონაკვეთები დარჩენილი იყო ქუჩის სახელის გარეშე. ერთ-ერთ მათგანს კომისიის 2018 წლის #280 განკარგულებით არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის სახელი მიანიჭა,

ხოლო მეორეს- აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის სახელი. მოსახლეობასთან კომუნიკაციის შემდეგ დადგინდა, რომ ქუჩა სახელდების აქტის არარსებობის მიუხედავად სხვადასხვა პერიოდში დანომრილი იყო სანაპიროს სახელით. შეფასდა არსებული მდგომარეობა და ჩაითვალა, რომ სანაპიროს სახელი არის ტოპონიმური სახელწოდება. ხსენებულის პარალელურად კომისიის სხდომაზე ბაჩანა ბრეგვაძის მოღვაწეობაზე იმსჯელეს და შერჩეულ იქნა ქუჩა საბურთალოს რაიონში, რომელსაც კომისიის წევრების მხარდაჭერის შემთხვევაში ხელახლა მიენიჭება ბაჩანა ბრეგვაძის სახელი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის სხდომას და საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სანაპიროს ქუჩის მაცხოვრებლები. მათ მადლობა გადაუხადეს კომისიას მხარდაჭერისთვის. როგორც ვიქტორ ცაავამ აღნიშნა, ბაჩანა ბრეგვაძის დამსახურებების პატივისცემის მიუხედავად, სანაპიროს ქუჩას 50 წლიანი ისტორია აქვს, რაც თითოეული იქ მაცხოვრებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი და მეორე საკითხები.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბაჩანა ბრეგვაძის ქუჩას მიენიჭოს სანაპიროს სახელი.

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსებ იმედაშვილის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ფილოსოფოსის, აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის სახელი.

3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სიმონ ყაუხჩიშვილის ქუჩისთვის სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების ბიოგრაფიაზე ისაუბრა. სიმონ ყაუხჩიშვილი ავტორია პირველი და ერთადერთი სახელმძღვანელოსი ქართულ ისტორიოგრაფიაში „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორია“. რაც შეეხება თინა ყაუხჩიშვილს, იგი გახლდათ პროფესიით ფილოლოგი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღისების ორდენის კავალერი, ავტორი 120-მდე სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთაგან 19 წიგნია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თინა ყაუხჩიშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ლენინგრადის, იენის და ლაიფციგის უნივერსიტეტებში.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, თბილისში უკვე არსებობს სიმონ ყაუხჩიშვილის ქუჩა (ისნის რ-ნი; 1983 წ.) გამომდინარე იქიდან, რომ ქუჩის სახელდების პრაქტიკა იცნობს ოჯახის წევრების სახელების ერთი ქუჩისთვის მინიჭებას, მიზანშეწონილად მივიჩნევთ ხსენებული პრაქტიკის გაგრძელებას.

აზრი გამოთქვეს: კომისიის სხდომას და საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიკოსი ვალერიან ვაშაკიძე. სწორედ მათი მოთხოვნა იყო თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების სახელის მინიჭება.

ვალერიან ვაშაკიძემ მისი მასწავლებლის, სიმონ ყაუხჩიშვილის მოღვაწეობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მამა-შვილი ყაუხჩიშვილების დამსახურება განუზომლად დიდია ქართული მეცნიერების წინაშე, რომ მათ მიერ გამოცემული თითოეული ნაშრომი უნიკალურია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სიმონ ყაუხჩიშვილის ქუჩას მიენიჭოს სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების სახელი.

4. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ლეო და ნოდარ გაბუნების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ლეო და ნოდარ გაბუნების სახელის მინიჭებაზე იმსჯელეს. აღნიშნული მოთხოვნით კომისიის თავმჯდომარის სახელზე შემოსული წერილები განიხილეს. ერთმანეთისგან განსხვავებული პროფესიების მიუხედავად, ძმები გაბუნები ღირსეულად ემსახურნენ საკუთარ ხალხს და არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი და ნაწარმოები დაგვიტოვეს. როგორც ცნობილია, ლეო გაბუნია იყო პროფესიით პალეობიოლოგი, მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწე წლების მანძილზე იყო პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს მდივანი. მის სახელთან არის დაკავშირებული მსოფლიო მნიშვნელობის „დმანისის ადანიანი“-ს აღმოჩენა. ლეო გაბუნია იყო 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 9 მონოგრაფიისა.

ნოდარ გაბუნია ცნობილი კომპოზიტორი, პიანისტი, საზოგადო მოღვაწე, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, იუნესკოს საერთაშორისო პრემიის ლაურეატი იყო. ის 1962 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ხოლო 1984 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი გახლდათ. მისი აღზრდილი მოსწავლეები დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

აზრი გამოთქვეს: მარიკა დარჩიამ ძმები გაბუნების მოღვაწეობაზე კიდევ ვრცლად ისაუბრა და აღნიშნა, რომ „მიხარია რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი ვარ და მხარს ვუჭერ ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს“.

თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, ვინაიდან სახელდების პრაქტიკა იცნობს ოჯახის წევრების სახელების ერთი ქუჩისთვის მინიჭებას, კომისიას სურს ამ შემთხვევაშიც ხსენებული პრაქტიკის გაგრძელება.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ ლეო და ნოდარ გაბუნიების ოჯახის წევრები. მათ კომისიის გადაწყვეტილებას ლეო და ნოდარ გაბუნიების საქმის ღირსეული დაგვირგვინება უწოდეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელი.

5. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქუჩის მონაკვეთისთვის მწერალის, დრამატურგ თამაზ ჭილაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია რეგულარულად თანამშრომლობს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურთან. სწორედ ასეთი თანამშრომლობის ფარგლებში არაერთი ქუჩა დამისამართდა და არაერთ მოქალაქეს მოეხსნა მისამართის პრობლემა, გასწორდა და აღმოიფხვრა ბევრი ხარვეზი.

თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, ბალანჩივაძეების ქუჩა შედგება ერთმანეთთან დაუკავშირებელი მონაკვეთებისგან. კომისიის ინიციატივით, სწორედ ერთ-ერთ მონაკვეთს მიენიჭება მწერლისა და დრამატურგის თამაზ ჭილაძის სახელი.

თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის თამაზ ჭილაძის სახელის მინიჭების მოთხოვნით კომისიას მწერლებმა: ბესიკ ხორნაულმა, ლევან ბრეგაძემ, ვახტანგ ჯავახიძემ და დათო ტურაშვილმა მომართეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს:ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მწერლის, დრამატურგ თამაზ ჭილაძის სახელი.

6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, არჩილ გელოვანის ქუჩისთვის მედიცინის დამსახურებული მოღვაწეების ზაზა და საულ კახიანების სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ზაზა და საულ კახიანების სახელობის სკვერისთვის სიცოცხლის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, 2015 წლის 30 ოქტომბრის #406 განკარგულების თანახმად ჩუღურეთის რაიონში, დიმიტრი უზნაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭა მედიცინის დამსახურებული მოღვაწეების ზაზა და საულ კახიანების სახელი. 2019 წლის მარტის თვეში ჩუღურეთის რაიონის გამგეობასა და საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს შეეხება. ქალთა მიმართ სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით მოხდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვება. მემორანდუმით განისაზღვრა, რომ საკრებულოს მიმართ დაყენებული იქნებოდა

შუამდგომლობა დიმიტრი უზნაძის ქუჩასთან მდებარე სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული ქალების ღვაწლის აღსანიშნავად სიცოცხლის სკვერის სახელის მინიჭების თაობაზე (GIPA -ს მხარდაჭერით სკვერში განთავსდება მემორიალი და მოხდება მისი კეთილმოწყობა.)

ჩუღურეთის გამგეობის და საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის #16-031909488-03 შუამდგომლობის დაყენების შემდეგ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შეისწავლა საკითხი, დადგინდა, რომ სკვერი სახელდებულია და ის ზაზა და საულ კახიანების სახელს ატარებს. კონსულტაციები გაიმართა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენლებსა და გამგეობასთან, ზაზა და საულ კახიანების ოჯახთან.

თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებობს ალექსანდრე გელოვანის სახელობის ორი გეოგრაფიული ობიექტი - მარშალ გელოვანის გამზირი და არჩილ გელოვანის ქუჩა. ცვლილების განხორციელების შემდეგ დავით აღმაშენებლის ძეგლიდან „ვეფხი და მოყმის“ ძეგლამდე არსებული გამზირი დარჩება მარშალ გელოვანის გამზირის სახელწოდებით, ხოლო არჩილ გელოვანის ქუჩას შეეცვლება სახელი.

აზრი გამოთქვას:კომისიის სხდომაზე საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენლებს არჩილ გერსამიას და თიკო ცომაიას მოუსმინეს. როგორც თიკო ცომაიამ აღნიშნა, „ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში უმნიშვნელოვანესი საქმე გაკეთდა. ქალბატონები, რომლებიც ომში დაიღუპნენ, გარდა იმისა რომ ხსოვნის უკვდავყოფას იმსახურებენ, მათ შესახებ აქამდე არაფერი არ იყო ცნობილი, საზოგადოებამ მათი არც გვარები და არც სახელები არ იცოდა. დრამატიზმითა და ტრაგიზმით სავსე ისტორიები სიცოცხლის გაგრძელებაში გვინდოდა გადაგვეტანა, ვფიქრობთ, რომ აქ პროექტმა მისია ნამდვილად შეასრულა“.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე და მეშვიდე საკითხებს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ვაკის რაიონში, არჩილ გელოვანის ქუჩას მიენიჭოს მედიცინის დამსახურებული მოღვაწეების ზაზა და საულ კახიანების სახელი, ხოლო ჩუღურეთის რაიონში, ზაზა და საულ კახიანების სახელობის სკვერს მიენიჭოს სიცოცხლის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ანდრო ჟორდანიას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლების ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, კომისიაში მიმდინარეობს მსჯელობა დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლების, ძმების ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით. სახელდების მოთხოვნით კომისიას მეზრძოლების მამამ, რიჩარდ კაპანაძემ მომართა. ორივე მათგანი დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“, ხოლო ამირან კაპანაძეს მინიჭებული აქვს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი.

თინათინ ნიბლოშვილის განმარტებით, ანდრო ჟორდანიას ქუჩა, რომელიც კრწანისის რაიონში მდებარეობს, შედგება რამდენიმე მონაკვეთისგან. სწორედ ერთ-ერთ მონაკვეთს კომისია აფხაზეთის ომში დაღუპული ძმების სახელებს მიანიჭებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

რიჩარდ კაპანაძე, რომელიც კომისიის სხდომას და საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდა, დაეთანხმა კომისიის გადაწყვეტილებას და მადლობა გადაიხადა შვილების გმირობის დაფასებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ანდრო ჟორდანიას ქუჩის მონაკვეთს და მასთან მდებარე ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლების ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სახელი.

9. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ზურგოვანის საცხოვრებელი კომპლექსისთვის ქართულ-ამერიკული უბნის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების მრჩეველის მენეჯმენტის საკითხებში ჯეისონ კალბფაიშის წერილთან დაკავშირებით იმსჯელეს, რომლითაც ითხოვს ე.წ. ზურგოვანის დიპლომატიურ სოფელში დამისამართებას.

გამომდინარე იქიდან, რომ ტერიტორია წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს საკუთრებას, დასახლებაში ვერ მოხდება ქუჩათა ქსელების მომზადება და სახელდება.

კომისიამ კონსულტაციები გამართა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან, ასევე დიპლომატიური სოფლის მაცხოვრებლებთან. გადაწყდა, რომ მოხდეს ტერიტორიის, როგორც უბნის სახელდება.

სხდომას ესწრებოდა გიორგი რამიშვილი. როგორც მან აღნიშნა, გადაწყვეტილება მისაღებია და მადლობა გადაუხადა კომისიას საკითხის შესწავლის პროცესში აქტიური თანამშრომლობისთვის და მხარდაჭერისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს:ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ზურგოვანის საცხოვრებელ კომპლექსს მიენიჭოს ქართულ-ამერიკული უბნის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის III ჩიხისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ეთერ ბოცვაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის აკადემიკოს ეთერ ბოცვაძის სახელის მინიჭების შესახებ ისაუბრა. საკითხთან დაკავშირებით კომისიაში პროფესიული წრეების არაერთი წარმომადგენლის თხოვნაა შემოსული.

კომისიის სხდომაზე ეთერ ბოცვაძის ბიოგრაფიაზე და მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრეს. სახელდებისთვის შეირჩა აკაკი ბელიაშვილის III ჩიხი, რომელიც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბდეს.

კომისიის სხდომას ესწრებოდა ეთერ ბოცვაძის შვილიშვილი ჯაბა სირბილაძე, რომელიც საკითხის განხილვის და სახელდების პროცესში აქტიურად იყო ჩართული. მან მადლობა გადაიხადა ოჯახის სახელით და აღნიშნა, რომ ქუჩაზე, რომელსაც კომისიის გადაწყვეტილებით ეთერ ბოცვაძის სახელი მიენიჭება, აშენდება ახალი ინფექციური საავადმყოფო. როგორც ცნობილია, ეთერ ბოცვაძემ მთელი თავისი საქმიანობა ხსენებულ პროფესიას მიუძღვნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის III ჩიხს მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ეთერ ბოცვაძის ქუჩის სახელი.

11. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, კლდეკარის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე ე.წ. ხეხილსანერგე მეურნეობის დასახლებაში უსახელო ტერიტორიის დამისამართებასთან დაკავშირებით იმსჯელეს. საკადასტრო ერთეულის მიხედვით ტერიტორიის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ნაძალადევის რაიონში, კლდეკარის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხეტი საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გაგრძელდეს კლდეკარის ქუჩა.

12. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. ავჭალის ხიდისთვის გმირ ქართველ არტილერისტთა სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, კომისია აქტიურად თანამშრომლობს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან.

სწორედ ასეთი თანამშრომლობის ფარგლებში არაერთი ომში დაღუპული გმირის სახელობის ქუჩა გაცოცხლდა თბილისის ქუჩებში.

ავჭალის ხიდისთვის გმირ ქართველ არტილერისტთა სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან და განმცხადებლებთან ერთად იმსჯელა. როგორც ცნობილია, ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მუდმივად იყო საარტილერიო სამხედრო ნაწილი.

იაგო მელაშვილის ინიციატივით, თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის ყოფილი I საარმიო კორპუსის, I ბრიგადის („თეთრი არწივი“) მებრძოლთა თავგანწირვა სამაგალითოა მომავალი თაობებისთვის და უდისდესი ღვაწლი მიუძღვით 1992-93 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში, რომელთა უმრავლესობა სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოებით.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. ავჭალის ხიდს მიენიჭოს გმირ ქართველ არტილერისტთა სახელი.

13. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის, მომღერალ გიო ხუციშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის მომღერალ გიო ხუციშვილის სახელის მინიჭების ინიციატივა გააჟღერა და აღნიშნა, რომ

კომისია ხშირად ახორციელებს ქუჩებისთვის იმ კოლორიტი ადამიანების სახელების მინიჭებას, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჩვენი ქალაქის კულტურულ განვითარებაში. ზუკა ხუციშვილის ინფორმაციით, გიო ხუციშვილი ასევე დაჯილდოებული გახლდათ მედლით „მხედრული მამაცობისთვის“ აფხაზეთის ომში მონაწილეობისთვის.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუწირეს მხარი თბილისში გიო ხუციშვილის ქუჩის არსებობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მსახიობის, მომღერალ გიო ხუციშვილის სახელი.

14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ანდრია გუგუშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ანდრია გუგუშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა სამგორის რაიონში, ე.წ. აფრიკის მეზაღეობის დასახლებაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდების საკითხი განიხილა და განმარტა, რომ ტერიტორია, რომლის სახელდებლასაც განმცახდებელი ნუგზარ გორგოძე ითხოვს, მდებარეობს ანდრია გუგუშვილის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო შესახვევს.

ისტორიკოსის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ანდრია გუგუშვილის სახელი ქ. თბილისის საკრებულომ ქუჩას 2014 წლის 29 მაისის #111 დადგენილებით მიანიჭა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთოთხმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ანდრია გუგუშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ანდრია გუგუშვილის სახელი.

15. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სავანეს ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის სავანეს I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე და საკითხების საჯარო განხილვაზე სამგორის რაიონში, ე.წ. აფრიკა II ნავთლულის დასახლება 360 კმ. წინმდებარე ტერიტორიის დამისამართების საკითხი განიხილეს.

თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს სავანეს ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო შესახვევს, რომელსაც კომისიის გადაწყვეტილებით სავანეს I შესახვევის სახელი მიენიჭება.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთხუთმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სავანეს ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს სავანეს I შესახვევის სახელი.

16. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ფრიდონ თოდუას ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ექიმ-პედიატრის, აკადემიკოს ირაკლი ციციშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე მოქ. დავით ციციშვილის განცხადების საფუძველზე თბილისში არსებული ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის ექიმ-პედიატრის, აკადემიკოს ირაკლი ციციშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს.

აქტიური სამედიცინო და პედაგოგიური მოღვაწე, საპატიო თბილისელი, ორი ღირსების ბრწყინვალეობის ორდენის მატარებელი ირაკლი ციციშვილი შესული იყო საუკუნის 100 გამოჩენილ ადამიანთა სიაში. ხალხმა მას გაწეული უანგარო სამსახურისთვის „სახალხო ექიმი“ უწოდა.

ოჯახის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ საბურთალოს რაიონში შეირჩა უსახელო სკვერი. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთ ქუჩას კომისიის გადაწყვეტილებით ექიმ მარიამ გრიგალაშვილის სახელი მიენიჭება. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული სკვერისთვის ირაკლი ციციშვილის სახელის მინიჭება თემატურიცაა.

აზრი გამოთქვას: ქეთი ციციშვილმა, რომელიც კომისიის სხდომას ესწრებოდა, მაღლობა გადაუხადა კომისიას ბაბუის ამაგის დაფასებისთვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საშუალებისთვის.

კომისიის წევრებმა საკითხს ერთხმად დაუჭირეს მხარი და დადებითად გადაწყვიტეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთექვსმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ფრიდონ თოდუას ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს ექიმ-პედიატრის, აკადემიკოს ირაკლი ციციშვილის სახელი.

17. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთისთვის პროფესორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს არჩილ ბეთანელის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორმა სერგო ტეფნაძემ კომისიას თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ინჟინერის, აკადემიკოს არჩილ ბეთანელის სახელის მინიჭების თხოვნით მომართა.

არჩილ ბეთანელის ბიოგრაფიის გაცნობის შემდეგ და მისი დამსახურებების გათვალისწინებით სამეცნიერო, ტექნიკურ თუ საავიაციო საქმეში, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია თბილისში არსებობდეს მისი სახელობის ქუჩა. ტერიტორია შეირჩა ჩუღურეთის რაიონში.

ვინაიდან ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთი არ მდებარეობს ძირითად ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბება, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს პროფესორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს არჩილ ბეთანელის ქუჩის სახელი.

აზრი გამოთქვეს: ავთანდილ აფხაიძემ და თინა კიკილაშვილმა არჩილ ბეთანელის ღვაწლზე და დამსახურებებზე ისაუბრეს. თინა კიკილაშვილმა ოჯახის სახელით მადლობა გადაუხადა კომისიას და აღნიშნა, რომ მრავალფეროვანი საქმიანობის პარალელურად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დამსახურება ავიაციის დარგში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეჩვიდმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს პროფესორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს არჩილ ბეთანელის ქუჩის სახელი.

18. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის ქუჩისთვის და ასპინძის I ქუჩისთვის ასპინძის სახელის მინიჭების შესახებ

19. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის შესახვევის მონაკვეთისთვის, ზეგანის ჩიხისთვის და ზეგანის შესახვევისთვის ზეგანის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი ჩუღურეთის რაიონში არსენალის მთის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული ქუჩათა ქსელები და მათი სახელწოდებები. დადგინდა, რომ ლამის, ასპინძის და ზეგანის ქუჩები, ჩიხები, შესახვევები და გასასვლელები განვითარებულია ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შეუსაბამოდ, მათ შორის არ არსებობს გეგმარებითი კავშირი. ხშირ შემთხვევაში ხსენებული გეოგრაფიული ობიექტების იდენტური სახელწოდებების ობიექტები მეორდება მიმდებარე ტერიტორიაზე. ამდენად კომისიამ მიიღო ხსენებული ხარვეზების შესწორების გადაწყვეტილება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების თანახმად ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთს, ლამის I შესახვევს და ლამის III შესახვევს მიანიჭა ლამის სახელი, ლამის ქუჩის მონაკვეთს მსახიობ ბელა მირიანაშვილის სახელი, ხოლო ლამის ქუჩის შესახვევს, ლამის II ჩიხს და ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთს მსახიობ დოდო ჭიჭინაძის სახელი.

კომისია აგრძელებს ზემოხსენებული ხარვეზების შესწორებას. ვინაიდან ასპინძის ქუჩა და ასპინძის I ქუჩა ორი სხვადასხვა სახელით არსებული გეოგრაფიული ობიექტია და გეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ დამოუკიდებელ ქუჩას და ასევე ასპინძის ქუჩა ხსენებულ ტერიტორიაზე არსებობს ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქუჩისთვის ხსენებული, ასპინძის სახელის შენარჩუნება.

საკითხის შესწავლისას ასევე დადგინდა, რომ ასპინძის ქუჩის კიდევ ერთი მონაკვეთი, ზეგანის ჩიხი და ზეგანის შესახვევი წარმოადგენს ერთ დამოუკიდებელ ქუჩას და კომისიამ ამ შემთხვევაშიც მიზანშეწონილად მიიჩნია ქუჩისთვის ზეგანის სახელის შენარჩუნება.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ჩუღურეთის რაიონში ზემოაღნიშნული ფორმით ხარვეზების შესწორების ინიციატივას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთვრამეტე და მეცხრამეტე საკითხები.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის ქუჩას და ასპინძის I ქუჩას მიენიჭოს ასპინძის სახელი და ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის შესახვევის მონაკვეთს, ზეგანის ჩიხს და ზეგანის შესახვევს მიენიჭოს ზეგანის სახელი.

20. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმის, პროფესორ მარიამ გრიგალაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე პროფესიული წრეების მომართვის საფუძველზე მარიამ გრიგალაშვილის დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის მისი სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს.

როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, მარიამ გრიგალაშვილი გახლდათ ქართული მედიცინის და საუნივერსიტეტო სტომატოლოგიის მხარდამჭერი და ქომაგი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული

მოღვაწე. იგი წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი იყო.

კომისიის წევრებმა მარიამ გრიგალაშვილის ოჯახის წევრებთან ერთად მის ბიოგრაფიაზე და მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრეს. როგორც მისმა ქალიშვილმა მანანა ხვედელიანმა აღნიშნა, მარიამ გრიგალაშვილს დიდი ღვაწლი აქვს არა მხოლოდ პროფესიული კუთხით, ის აქტიურად იყო ჩართული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შექმნისა და განვითარების სამსახურში.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მარიამ გრიგალაშვილის სახელის მინიჭებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოცე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ექიმის, პროფესორ მარიამ გრიგალაშვილის სახელი.

21. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფოტოხელოვანის ევტიხი ჟვანიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან ერთად ერთ-ერთი ქუჩისთვის ევტიხი ჟვანიას სახელის მინიჭებაზე ისაუბრა. პიროვნება, რომელმაც ფოტოებით ისტორია შექმნა, სიცოცხლის 85 წლიდან 70 წელი ფოტოხელოვნებას მიუძღვნა. სწორედ მისმა ფოტოკამერამ შემოუნახა ისტორიას არაერთი იშვიათი კადრი.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს დედაქალაქში ევტიხი ჟვანიას ქუჩის არსებობას. სახელდებისთვის შეირჩა უსახელო ქუჩა სამგორის რაიონში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეერთე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ფოტოხელოვანის ევტიხი ჟვანიას სახელი.

22. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩისთვის, მასთან არსებული ორი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის არქიტექტორის თეიმურაზ ბოჭორიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ მოქალაქე ამირან დოლიძის მომართვის საფუძველზე გლდანის რაიონში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გულია გოცირიძის შუამდგომლობით კომისიამ ხიზაბავრის ქუჩისთვის არქიტექტორის თეიმურაზ ბოჭორიშვილის სახელის მიმინიჭებაზე უნდა იმსჯელოს.

თეიმურაზ ბოჭორიშვილის ბიოგრაფიაზე ისაუბრა გულია გოცირიძემ. საქართველოს არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის თეიმურაზ ბოჭორიშვილს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის წოდება. მისი ნამუშევარებია მოცულობით არქიტექტურაში საცხოვრებელი სახლები თბილისის სხვადასხვა რაიონებში და ქალაქგეგმარება თემქის VIII მ/რ-ში, გლდანულას მ/რ-ში და ყველაზე მასშტაბური გლდანის საცხოვრებელ მასივში.

მადლობა გადაუხადეს კომისიას თეიმურაზ ბოჭორიშვილის ოჯახის წევრებმა მისი ღვაწლის დაფასებისთვის.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეორე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩას, მასთან არსებულ ორ ჩიხს და ერთ გასასვლელს მიენიჭოს არქიტექტორის თეიმურაზ ბოჭორიშვილის სახელი.

23. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ილია ვეკუას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კონტრადმირალ ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უფროსის ვლადიმერ იმნაძის წერილთან დაკავშირებით იმსჯელეს, რომლითაც მან თბილისის რომელიმე ქუჩისთვის კონტრადმირალ ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელის მინიჭება ითხოვა. თინათინ ნიბლოშვილმა ალექსანდრე ჯავახიშვილის ბიოგრაფიაზე ისაუბრა. მას დიდი წვლილი მიუძღვნის საზღვაო ტერმინოლოგიისა და სამხედრო-საზღვაო დოკუმენტაციის ქართულ ენაზე შექმნაში. კონტრადმირალი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი დაჯილდოვებულია 2 ორდენით და 13 მედლით, ასევე ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

სახელდებისთვის შეირჩა ილია ვეკუას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა გლდანის რაიონში. ხსენებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდების მოთხოვნით სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურის შუამდგომლობით კომისიას მოქალაქე ნათია ჟივიძემ მომართა.

კომისიის წევრებმა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან კონსულტაციების საფუძველზე მხარი დაუჭირეს გლდანის რაიონში, ილია ვეკუას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კონტრადმირალ ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელის მინიჭებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამესამე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვეტეს: ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ილია ვეკუას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს კონტრადმირალ ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელი.

24. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევში, გიორგი მუხაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სპორტული მოედნისთვის ფეხბურთელის ვახტანგ ფანგანის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა ინფორმაციით, გოჩა სამხარაძის და ორხევის დასახლებაში მცხოვრები მოქალაქეების ერთობლივი განცხადების საფუძველზე კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ორხევში უსახელო სპორტული მოედნისთვის ვახტანგ ფანგანის სახელის მინიჭება.

აზრი გამოთქვეს: გოჩა სამხარაძემ მაღლობა გადაუხადა კომისიას ორხევის მაცხოვრებელი ასობით მოქალაქის თხოვნის გათვალისწინებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეოთხე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვეტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევში, გიორგი მუხამის ქუჩასთან
არსებულ უსახელო სპორტულ მოედანს მიენიჭოს ფეხბურთელის
ვახტანგ ფანგანის სახელი.

სხდომის დასასრულს თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგით
წარმოდგენილ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც კომისიამ დღეს საჯარო
განხილვა მოაწყო, საბოლოო გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრები საკრებულოს
უახლოეს სხდომაზე მიიღებენ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

17 ოქტომბერი, 2019 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარია დარჩია	მ. დარჩია
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშვი	ან. ლაშვი
5.	გულია გოცირიძე	გ. გოცირიძე
6.	თარაშ შურღია	თ. შურღია

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

თ. ნიბლოშვილი